პოლონეთში განათლების მიღების გზამკვლევი

1992 წლის 28 აპრილს, როდესაც ოფიციალურ ვარშავასა და თბილისს შორის პარტნიორულ და მეგობრულ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა განათლებაზე ფიქრი რთული იყო. პოსტ საბჭოთა სამყაროში ქვეყნები დამოუკიდებლობისთვის და სიმართლე რომ ვთქვათ , რეალურად გადარჩენისთვის იბრძოდნენ . არც დიპლომატიური პროცესები წასულა მარტივად, მართალია საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო 1997 წელს გაიხსნა, თუმცა საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი ვარშავაში 2004 წელს ჩავიდა. მანამდე კი პოლონეთში მოხვედრა მხოლოდ გერმანიაში საქართველოს საელჩოს დახმარებით შეიძლებოდა. ეს კიდევ ერთი ფაქტორი იყო, რატომაც სამოქალაქო ომ გამოვლილ საქართველოში პოლონეთში განათლების მიღებაზე 20 საუკუნის ბოლო წლებში ბევრს არავის უფიქრია.

ილიას უნივერსიტეტის ოფიციალური ინფორმაციით- პირველი მობილობა 2015/16 სასწავლო წელს ბელოსტოკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტსა და ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტში განხორციელდა.

პარტნიორების სია ახლა ვრცელია -

1. ბიალისტოკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი
2. იაგელონიის უნივერსიტეტი კრაკოვში
3. ნიკოლაი კოპერნიკის უნივერსიტეტი
4. ლომზას გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი
5. SWPS სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების უნივერსიტეტი
6. ლუბლინის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი

7. ლოძის უნივერსიტეტი
8. ლოძის სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
9. ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
10. ვარშავის ეკონომიკური სკოლა
11. WSB უნივერსიტეტი პოზნანში
12. კაზიმირ დიდის უნივერსიტეტი
13. იოზეფ პილსუდსკის ფიზიკური აღზრდის უნივერსიტეტი ვარშავაში
14. ჟეშუვის უნივერსიტეტი

მათთან კომუნიკაციის ძირითადი წყარო ერაზმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამაა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტეტი ამჟამად თოთხმეტი უმაღლესი სასწავლების ადმინისტრაციასთან ყოველწლიურად ათობით სტუდენტის თაობაზე თანამშრომლობს.

გაცვლების სტატისტიკა ასე გამოიყურება

- 2015/16 - 2
- 2016/17 - 8
- 2017/18 - 3
- 2018/19 - 6
- 2019/20 - 3
- 2020/21 - 2 (აქედან 1 გაზაფხულზეა განსახორციელებელი)

ყველაზე პოლულარული გაცვლითი პროგრამის ერაზმუს მუნდუსის მოთხოვნათა ჩამონათვალი რთულია თუმცა, როგორც სტუდენტები ამბობენ შედეგი წვალებად ნამდვილად ღირს.

კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები ასეთია :

- კანდიდატს უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი და ირიცხებოდეს რელევანტურ საფეხურზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში;
- ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტს დასრულებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 60 კრედიტი;
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტს არ უნდა ჰქონდეს მოპოვებული Erasmus Mundus ან Erasmus+ გრანტი ანალოგიურ საფეხურზე;
- დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების Erasmus Mundus ან/და Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი მობილობის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს;

- კანდიდატი უნდა ფლობდეს შესაბამის უცხო ენას მინიმუმ B2 დონეზე, რის შესახებაც მან კონკურსის პერიოდში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი .

განაცხადის წარდგენა:

- კანდიდატმა განაცხადი კონკურსის ვადის დაცვით უნდა წარმოადგინოს ელექტრონულად;
- ელექტრონული განაცხადი უნდა შეივსოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელ- ფოსტის მისამართის გამოყენებით. დაუშვებელია განაცხადის შევსება პირადი, ან სხვა პიროვნების ელფოსტის გამოყენებით;
- განიხილება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადები. დაუშვებელია კონკურსისათვის საჭირო დოკუმენტების ეტაპობრივად, ნაწილ-ნაწილ გამოგზავნა. ასეთ შემთხვევაში კანდიდატი ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან;
- სტუდენტს განაცხადის შემოტანა შეუძლია მაქსიმუმ 5 უნივერსიტეტისათვის;
- ელექტრონული განაცხადის ფორმაში მითითებული უნივერსიტეტების მიმდევრობა უნდა შეესაბამებოდეს თქვენს პრიორიტეტებს; ნომინირების ეტაპზე აღნიშნული პრიორიტეტები, შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებული იქნება კომისიის მიერ.

კომისიასთან უერთიერთობა მარტივი არ არის და სასურველია ამ მიმართულებით სტუდენტს სხვა კოლეგების გამოცდილება დაეხმაროს. გარდა იმისა, რომ აპლიკანტი გასაუბრებაზე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ,აუცილებელია შეძლოს კომისიის დარწმუნება რამდენად სჭირდება მას შანსი სწავლის პროცესი ვთქვთ პოლონეთის კონკრეტულ უნივერსიტეტში განაგრძოს. რაც შეეხება თანხას, სტატისტიკურად სტიპენდია 800 ევროს შეადგენს. ეს როგორც თავად სტუდენტები ამბობენ, რაციონალურად ცხოვრების შემთხვევაში საკმარისია.

პანდემიურ რეალობაში გაცვლითი პროგრამების გარემოებებიც გარკვეულწილად შეცვლილია.

- 2020/21 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის განხორციელება დამოკიდებულია შესაბამის მასპინძელ ქვეყანაში არსებულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებასა და შესაბამის რეგულაციებზე;

- ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, მასპინძელმა უნივერსიტეტმა მშობლიურ უნივერსიტეტთან შეთანხმებით შესაძლებელია გადაავადოს მობილობის განხორციელება მომდევნო სემესტრისათვის;

- ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ მობილობის მომდევნო სემესტრში გადავადების შემთხვევაში, ავტომატურად გაუქმდება საბაკალავრო საფეხურის იმ სტუდენტების მობილობა, რომელთაც 2020-21 სასწავლო წლის გაზაფხულზე დამამთავრებელი სემესტრის გატარება უწევთ მასპინძელ ქვეყანაში.

ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის სავალდებულო დოკუმენტები და მათი ატვირთვის წესები შემდეგია :

- კანდიდატმა ყველა დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს ინგლისურ ენაზე;

- დოკუმენტი უნდა მომზადდეს PDF ფორმატში (თითოეული დოკუმენტის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 10MB-ს).

- დოკუმენტების დასათაურება უნდა მოხდეს ქვემოთ მითითებული ინგლისურენოვანი დასახელებების შესაბამისად (მაგ.: name_surname_Transcript_of_Records)

- პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი/Passport copy or ID Card

- რეზიუმე Europass-ის ფორმატში/EUROPASS CV - აღნიშნულ ფორმატში რეზიუმეს შექმნა

შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში, ბმულზე:
https://europass.cedefop.europa.eu/editors/en/cv/compose/

- შესაბამისი უცხო ენის მინ.B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი

- სერტიფიკატი/ცნობა/Language Certificate (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე)

- მიმდინარე საფეხურის ნიშნების ფურცელი/Transcript of Records

- შევსებული სასწავლო ხელშეკრულება/Learning Agreement (სავალდებულოა მასპინძელ უნივერსიტეტში გასავლელი მინ. 2 კურსის მითითება)

სასწავლო ხელშეკრულების მომზადების ინსტრუქცია იხილეთ:

http://iliauni.edu.ge/uploads/other/50/50236.pdf

- სამოტივაციო წერილი/Motivation Letter (ერთი სამოტივაციო წერილი, რომელიც მოიცავს ყოველი სასურველი უნივერსიტეტისათვის მორგებულ მოტივაციის კომპონენტს)

- ლექტორის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი/Recommendation Letter

- აქტიური სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა/Proof of Enrollment
- მხოლოდ იმ დამამთავრებელი სემესტრის ბაკალავრებისთვის, რომლებიც გეგმავენ
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვას - მშობლიური უნივერსიტეტის სამეცნიერო ხელმძღვანელის

- არსებობს შემთხვევაში, ეკონომიკური, სოციალური ან ჯანმრთელობის პრობლემის
- დამადასტურებელი ცნობა/Proof of disability, social or economic vulnerability (if relevant)

ეს პოლონეთის უნივერსიტეტებამდე მიმავალ გზაზე მცირე რაკურსია. შესაძლებლობები, რომელსაც გაცვლითი პროგრამები იძლევა ბევრად ფართომასშტაბიანი. ცდა იმაზე მარტივია ვიდრე ახლა წარმოგიდგენიათ, პირველ ეტაპზე მხოლოდ ამ ფაილის ჩაკეცვა და გუგლში 4 სიტყვის ჩაწერა მოგიწევთ . **Study Abroad Programs in Poland**. ლინკი, რომელსაც ნახავთ გზებს თავად გასწავლით.
https://www.goabroad.com/study-abroad/search/poland/study-abroad-1

აბა, Powodzenia !
ეს პოლონურად წარმატებებს ნიშნავს.

ავტორი:მანჩი გაბელია